საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1695 2016 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი

შპს „იმერეთი გრინერიზე“ გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^1 მუხლის 1^3 პუნქტის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, შპს „იმერეთი გრინერიზე“ გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1002475 ლიცენზიაში შეიტანოს ცვლილება და მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის (თერმული წყალი) მოცულობად, ლიცენზიის მოქმედების დარჩენილ პერიოდში (2036 წლის 12 იანვრამდე), განსაზღვროს დღე-ღამეში 1 124,9 $მ^3$.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**